მეშარცახ სოც.-ფედ. ქართ. სარეგ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელ.
4 „ 150,000 „
საშგლოვიანი განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 503 შაბათი, ივნისის 23 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

სამშაბათს, ივნისის 26-ს
ა. ფალავას სტუდიის სარკის დარბაზში
(რუსთაველის თეატრის შენობაში)
კონსტანტინე გამსახურდია
წარმოსთქვამს სიტყვას:
თეატრი და ექსპრესიონიზმი

I თეატრი აღმოსავლეთში, ბერძნული ტრაღედია. ტრაღედიის გადაგვარება. დასავლეთის თეატრი. შექსპირი. კრიზისი. ვენის, ბერლინის, რაინჰარტის თეატრები. ნების ყოფა ტრაღედიის განახლებისადმი. ნებისყოფა მისტერიისადმი. აღსდგება თუ არა ბერძნული ტრაღედია? ვილამოვიცის პოზიცია. ფონი ბერძნული კულტურის, ანტიკა და დასავლეთი—არა ჰომოლოგიური ფენომენებია. თეატრი, სანახაობა და თეატრი სულის ტრიბუნა. თეატრი და ექსპრესიონიზმი.

II ქართული თეატრის გუშინ და ხვალე. მარჯანიშვილი და აღორძინების ნიშნები. ქართული კულტურის ტრაღიკული ნასკვი. ჰიბრიდული სული ქართული კულტურის. ქართული სულის რენესანსის პაროლი.

დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: კ. მარჯანიშვილი, გრ. რობაქიძე, ი. ტატიშვილი, ა. ფალავა.

მოხსენება დაიწყება საღამოს სრულ 9 საათზე.

შესავალი ბილეთები იქვე გაიყიდება.

2—1

დიპლომატიური ომის დასასრული

ის დიპლომატიური ომი, რომელიც გაიმართა საბჭოთა რესპუბლიკებსა და ინგლისს შორის მშვიდობიანად დამთავრდა.

ინგლისის უკანასკნელი ნოტა დასრულებულად სთვლის გამართულ მიწერ-მოწერას. იგი თავისი მხრით აცხადებს, რომ ხელს აიღებს რუსეთის ემიგრანტების დახმარებაზე საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

ჩიჩერინის საპასუხო ნოტა კმაყოფილებით ეგებება ამ ფაქტს და მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ უნდა უარყოს არა მარტო რუსეთის ემიგრანტებისადმი დახმარება, არამედ ყოველ ძალისადმი, რომელიც შეეცდება საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ მოქმედებას.

ყოველივე ის, რასაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ხანში საბჭოთა რესპუბლიკებისა და ინგლისის ურთიერთობის სფეროში ანარეკლი იყო იმ ძალთა განწყობილების, რომელიც ეხლა არ შექმნილა და არც უკანასკნელი ნოტით დასრულდება.

ერთი ჯგუფი ინგლისის მოუსალიბისა, რომელმაც დიდი ზარალი განიცადა რუსეთის რევოლიუციით, ყოველ შესაძლეობას იყენებდა და ამიერიდანაც შეეცდებიან გამოიყენონ რაიმე სერიოზული კონფლიქტის შექმისათვის. თუ ეს ჯგუფი ვერ აღწევს თავის მიზნებს, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ფინანსიური არისტოკრატიის ინტერესებს წინ ეღობება, როგორც მუშათა კლასის, ისე საქმიანი მრეწველობის ინტერესები.

დღეს ეკონომიური ურთიერთობის საჭიროება თუ ჩვენთვის, საბჭოთა რესპუბლიკებისათვის არის საჭირო, ევროპის ქვეყნების და კერძოდ ინგლისისთვინაც საჭიროა ევროპის დიპლომატია ვერ შესძლებდა საკითხის ასე რიგად დასრულებას, რომ მოწინააღმდეგე ძალები სასიცოცხლოთ დაინტერესებულნი არ იყვენ ერთმანეთის გამოყენებით.

თანდათან მტკიცდება და მისაღები ხდება ის მთავარი აზრი, რომ საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკებთან რაიმე საქმიანი ურთიერთობის დაჭერა. თუ არ იცნობთ საბჭოთა რესპუბლიკებს, სულ ერთია, საერთაშორისო ბირჟა იცნობს მის საქონელს და ამით იძულებულს გაგხდის რაიმე ნაბიჯი გადასდგათ. ასეთი მოვლენის წინაშე სდგას კაპიტალისტური ქვეყნები. ინგლისის პოლიტიკური წრეები, როგორაც არ უნდა განიცდიდეს ფინანსიური არისტოკრატიის გავლენას, იძულებული არის ანგარიში გაუწიოს ქვეყნის უმრავლესობის მოთხოვნილებებს. ის კომპრომისული გზა, რომელიც მონახულ იქნა, შედეგია იმ ძალთა განწყობილების, რომელიც განაგებს ამ ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

იმ თავითვე აღვნიშნავდით, რომ ინგლისის მუქარას ვერ მოყვებოდა სამხედრო ოპერაციები და მილიტარული ნაბიჯები. ამისათვის ინგლისის მდგომარეობა არ იძლეოდა შანსებს. მეორე მხრით საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ხალხისათვის საკმაო არ იყო ნოტების მუქარა და დიპლომატიური ჯირითის სცენები, რომ ამით ხელი აეღო რევოლიუციონური ბრძოლის მონაპოვარზედ.

რაზმიო-ლეპეშები

ინგლისის პასუხი რუსეთის უკანასკნელ მემორანდუმზე.

მოსკოვი. 10 ივნისი. გამოქვეყნდა ინგლისის პასუხი რუსეთის უკანასკნელ მემორანდუმზე. ინგლისმა კმაყოფილებით მიიღო ცნობათ საბჭოთა მთავრობის თანხმობა ნოტებით აზრთა გამოცვლაზე ტერიტორიალური წყლების საზღვრების, გარდინგისა და დევისონის საქმის გამო კომპენსაციის და აგრეთვე ინგლისის მიმართ მტრული მოქმედების ან პროპაგანდის შეწყვეტის შესახებ. ინგლისის მთავრობა თავის მხრივ თანახმაა პროპაგანდაზე და მტრულ მოქმედებაზე ხელის აღების ვალდებულების ტექსტი შეავსოს მუხლით რუსეთის ემიგრანტებისათვის საბჭოთა მთავრობის და საკავშირო რესპუბლიკების წინაღმდეგ დახმარების არ მიცემის შესახებ.

ინგლისი არ მოითხოვს სხვა ინგლისელ მოქალაქეების ზარალის ანაზღაურებას გარდა გარდინგისა და დევისონისა. ინგლისის მთავრობა დარწმუნებულია, რომ დიპლომატიურ თანამდებობის პირთა გადაყვან-გადმოყვანის ნორმალური წესით მოგვარდება რასკოლნიკოვის გაწვევის საკითხიც დაბრკოლებები, რომლებიც ეღობება მის ყოფნას ქაბულში, ამ რიგად აცილებულია შუმიაცკის შესახებ, ინგლისი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა მთავრობა მიიღებს ზომებს, რათა მისი მოღვაწეობა ეთანხმებოდეს მიღებულ ვალდებულებებს.

ვინაიდან საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა ინგლისის მთავრობის ძირითადი მოთხოვნილებები, უკანასკნელ მიწერ-მოწერას დამთავრებულათ თვლის.

ამხ. ჩიჩერინის საპასუხო ნოტა.

მოსკოვი. 19 ივნისი. საპასუხო ნოტაში ამხ. ჩიჩერინი კმაყოფილებას გამოსთქვამ ინგლისის თანხმობის გამო დათმობებზე და საბჭოთა მთავრობის მიერ მიცემულ განმარტებებზე, ეხება რა შინაურ საქმეებში არ ჩარევის ვალდებულების ტექსტს, რუსეთის მთავრობა მოითხოვს, რომ ინგლისმა უარი სთქვას არა მარტო რუსეთელ ემიგრანტების, არამედ ყოველგვარი მტრული მოქმედების დახმარების გაწევაზე, ვისი მხრითაც არ იყოს ის.

რასკოლნიკოვის გადაყვან გადმოყვანის წესით გაწვევის შესახებ, ამხ. ჩიჩერინი უპასუხებს, რომ ეს საკითხი, როგორც შინაური არ ყოფილა სადაო და საკამათო. რუსეთი არავითარ ვალდებულებას არ იძლევა წარმომადგენლობათა პერსონალის შესახებ და არ მოითხოვს ასეთ ვალდებულებას ინგლისისგანაც. ამხ. ჩიჩერინი პირდება ინგლისის მთავრობას მისცეს რუსეთის წარმომადგენლებს, კერძოდ კი შუმიაცკის, ინსტრუქციები მიღწეული შეთანხმების მიხედვით იმ პირობით, რომ ინგლისიც ასეთივე ინსტრუქციებს მისცემს თავის წარმომადგენლებს.

ამ შესწორებების შემდეგ, რუსეთის მთავრობა ეთანხმება ინგლისის მემორანდუმის დასკვნას, რომ მიწერ-მოწერა ჩაითვალოს დამთავრებულათ.

გადატრიალება ბულგარეთში.

ბერლინი. 19 ივნისი. სოფიიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ ბულგარეთის ყველა პროვინციებში სიმშვიდე დამყარდა. გადატრიალებას სულ უმსხვერპლია 500—600 კაცი.

ბერლინი. 19 ივნისი. სამხრეთ-სლავიას საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიშიჩმა საუბრის დროს განაცხადა, რომ მცირე ანტანტამ უარჰყო სოფიაში საერთო ძალით გამოსვლა, რადგანაც მცირე ანტანტაში უთანხმოება იყო. საბერძნეთი და რუმინეთი წინააღუდგნენ საერთო გამოსვლას იმ მოსაზრებით, რომ გადატრიალება ბულგარეთში ხელს შეუწყობს მონარქიული იდეების განმტკიცებასაო. მხოლოდ ჩეხო სლოვაკია იყო სრულს თანხმობაში სამხრეთ-სლავიასთან.

საბერძნეთის პრემიერმა გუნარისმა დაადასტურა, რომ მცირე ანტანტა არავითარ ნაბიჯებს არ გადასდგამს ბულგარეთის საქმეში, რადგანაც ბულგარეთი მტრულ განწყობილებას იჩენს მცირე ანტანტის მიმართ.

ეტნას ამოხეთქა.

რომი. 21 ივნისი. ლინგუალიესიდან იტყობინებიან, რომ ღველფის მთავარი ნაკადი გაიყო ორ ტოტად. ერთი მათგანი მიმდინარეობს ლინგუალიესის სადგურისაკენ, მეორე — იმ გორაკისაკენ, რომელიც შეიცვლის ღველფის შემდეგ მდინარეობას.

რომი. ამოხეთქისაგან დანგრეულ სადგურის კასტილიონში ჩაწერილია ადამიანთა მსხვერპლი.

ლინგუალიესა ფერფლის ქვეშ.

რომი. 21 ივნისი. ლინგუალიესიდან იტყობინებიან, რომ მდგომარეობა ქალაქში საშინელია. ჰაერი გაჟღენთილია სულის შემხუთავ გოგირდის კვამლით. ტემპერატურა არაჩვეულებრივად მაღალია. სახურავებზე ჩამოწვა ფერფლის იმდენი რაოდენობა, რომ მრავალი სახლები ინგრევიან სიმძიმისაგან. სახლების დანგრევის შესახებ იტყობინებიან მთელი რაიონიდან.

მიუხედავათ ამისა მცხოვრებთ არ უნდათ დასტოვონ თავიანთი სახლები იმ მომენტამდე, სანამ მათ სახლებამდე არ მიაღწევს ღველფის ნაკადი. ზოგიერთ სახლებიდან, რომელთაც აშკარა დანგრევა მოელის მცხოვრებლებს შეიარაღებული ძალით ასახლებენ.

რომი. 21 ივნისი. ლინგუალიესში სრულებით არ იშოვება სურსათ-სანოვაგე. თითქმის ყველა მცხოვრებნი გადასახლებული არიან უშიშარ ადგილებში. დარჩენილი მცხოვრებნი იკვებებიან იმით, რომ ჯარისკაცები აძლევენ მათ თავიანთ ულუფას. ლინგუალიესში გზებზე მიმოსვლა სრულებით შეწყვეტილია გაცხელებულ ფერფლით დაფარვის გამო შეფერხებულია აგრეთვე ავტომობილებით მიმოსვლაც. ქალაქის ქუჩებში დაყრილი არიან დამხვრჩალი საქონელი და ფრინველები.

რუსის ოლქის ოკუპაცია.

ბერლინი. 20 ივნისი. „პტი პარიზენის ცნობით, კოკსის გატანა რურიდან აკრძალულია. საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებამ თავის თავზე მიიღო კონტროლის გაწევა რამოდენიმე რკინის გზის ხაზის, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მათ მიერ დაჭერილი. რეინლანდის საერთაშორისო კომისიამ ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ტრანსპორტის ნებართვების მიცემისა და გატანის გადასახადები გადახდილ უნდა იქნეს სათანადო ქვეყნის ვალიუტით. საფრანგეთის ხელისუფლების მიერ გადასახლებული არიან გეროშტეინის რკინის გზის ყველა მოსამსახურეები.

რუსეთი და ამერიკა.

მოსკოვი. 20 ივნისი. 16 ივნისს ამერიკულმა კომიტეტმა, რომელიც ახლო კვირეეში ახდენს რუსეთში თავისი მუშაობის ლიკვიდაციას, გამართა ბანკეტი. ბანკეტს დაესწრენ ამხ—ბი კამენევი, დზერჟინსკი, ჩიჩერინი, ლიტვინოვი, რადეკი, სოკოლნიკოვი და ლანდერი.

ამერიკული კომიტეტის მეთაურმა პოლკოვნიკმა გასკელმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას ენერგიული დახმარებისათვის მუშაობის დროს და სთქვა, რომ ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლები ბრუნდებიან სამშობლოში მტკიცე რწმენით, რომ საბჭოთა მთავრობა არის რუსეთის ხალხის ნამდვილი მთავრობა და იღწვის მის საკეთილდღეოდ. გასკელის აზრით, არავითარი დაბრკოლება არ უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის ცნობისათვის უცხოეთის სახელმწიფოების მხრივ და პირველ რიგში შეერთებული შტატების მთავრობის მიერ.

ამხ. კამენევი მადლობას უცხადებს ამერიკული კომიტეტის ყველა მუშაკებს და იმედს გამოსთქვამს, რომ გასკელის მიერ გამოთქმული სურვილი განხორციელდება რუსეთისა ამერიკის ხალხის საკეთილდღეოდ.

ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს ამერიკული კომიტეტის მუშაკების ტაქტს, და საქმის ცოდნას და ესალმება ამერიკის ხალხს. ამხ. ჩიჩერინმა გამოსთქვა იმედი, რომ ამერიკული კომიტეტის მუშაობამ ურყევი საფუძველი ჩაუყარა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობას და ამ ორი ქვეყნის ერების ურთიერთობას და ამ ორი ქვეყნის ერების ურთიერთგაგებას. ამერიკული კომიტეტის მუშაობაში ამხ. ჩიჩერინი ხედავს ამერიკის ხალხის რუსეთის ერებთან ძმური თანამშრომლობის წინამორბედს აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრეების აღმოსაჩენათ და დასამუშავებლათ მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ახალი ამბები

— **ბავშვების საავადმყოფო,** რომელიც იმყოფებოდა ბებუთოვის ქუჩაზე დაიხურა.

— **მალიარიის წინააღმდეგ.** აჭარაში შეუდგენ ჭაობის არხის ამოშრობას.

— **შრომის ბირჟაში.** 21 ივნისს გამოცხადდა 288 უმუშევარი მამაკაცი, 182 ქალი, ახლად ჩაეწერა 99 მამაკაცი, 48 ქალი. მოთხოვნილება იყო 41 მამაკაცზე და 2 ქალზე, გაიგზავნა სამუშაოზე 51 მამაკაცი და 2 ქალი. აღდგენილია უფლებაში 4.

— **საექიმო ექსპერტიზა.** ჯანმრთელობის კომისარიატთან დაარსდა საექიმო ბიუროს ექსპერტიზა.

— **ცეცხლის მქრობელთა რაზმისთვის** ტფილისის აღმასკომმა დაადასტურა დადებული ხელშეკრულება ცეცხლის მქრობელ რაზმთან, რომლის ძალით რაზმს მიეცემათ ერთ მილიარდ მანეთამდე სხვადასხვა დროს ფეხსაცმელების შესაძენათ.

— **ქალაქის სახნავ-სათესი მიწები** ტფ. აღმასკომმა პრინციპიალურად მიიღო პროექტი ქალაქის სახნავ მიწებზე საიჯარო გადასახადის შემოღების შესახებ.

— ტფილისის აღმასკომმა დააკმაყოფილა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა 80 ბავშვებისათვის საჭირო ბინის მიცემის შესახებ კიკეთში, ქირის გადახდევინებით საერთო წესით.

— **საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა.** სტატისტიკის ცენტრალი სამმართველოსთან უკვე მოეწყო სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცენტრალი ბიურო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—გ. მ. გრიგორიანი, წევრები: ბ. ნ. ჩიგოგიძე და დ. დ. კარიჭაშვილი. მდივნად მოწვეულია ვ. მ. ხმალაძე.

მთელი საალწერო მასალა როგორიც არის: ფორმულიარები, ბლანკები და ინსტრუქციები უკვე დამზადებულია.

ცენტრალ საალწერო ბიუროს დადგენილების თანახმად 25 ივნისისათვის დანიშნულია სამაზრო სტატბიუროების გამგეების და მათი თანაშეემწეების თათბირი მომავალი სასოფლო-სამეურნეო აღწერის შესახებ და 1—ლ ივლისიდან კი იწყება კურსები ხსენებული აღწერის ინტრუქტორებისათვის, რომელიც გაგრძელდება შვიდ დღეს.

მიეცა წინადადება ყველა სამაზრო სტატბიუროებს, დაუყონებლივ შეუდგნენ აღმწერლებისა და ინსტრუქტორების წინასწარ აღრიცხვას განათლების ცენზის, წლოვანების და აღზრდაში მონაწილეობის აღნიშვნით, აგრეთვე უნდა იქმნეს ნაჩვენები, თუ მათში რამდენია ადგილობრივი მცხოვრები.

ამას გარდა, ვინაიდან შესაძლებელია, რომ ადგილობრივად ვერ მოგროვდეს აღმწერლებისა და ინსტრუქტორების საკმაო შტატი, სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოსთანაც მოეწყო ხსენებული აღმწერლების და ინსტრუქტორების წინასწარი აღრიცხვა, შემდეგში, მათი მაზრებში დასანაწილებლად სტატბიუროების მოთხოვნილებისა დაგვარად.

საალწერო ცენტრალ ბიუროს დადგენილებით უკვე გამორკვეულია ადგილობრივი (სამაზრო) საალწერო ბიუროების შემადგენლობაც, რომელშიდაც შედიან წევრებად ადგილობრივი სტატბიუროების გამგე და ადგილობრივი აღმასკომის და მიწად—მოწყობის განყოფილების თითო წარმომადგენელი. დასახელებული არიან აგრედვე აღწერის სამაზრო ხელმძღვანელები, რომელთაც ამავე დროს ევალებათ სამაზრო საალწერო ბიუროების თავმჯდომარეობა.

— **სავალიუტო ბირჟა.** 22 ივნისის ოფიციალური კურსი—ჩერვონეცი—13,6000 ათ. გირვანქა სტერლინგი—14,900 ათ. დოლარი—3,550 ათასი ფრანკი—175 ათასი, ლირა 2,375 ათ. მ.

— **შრომის ბირჟა.** 20 ივნისს გამოცხადდა 344 უმუშევარი მამაკაცი და 168 ქალი; ახლად ჩაეწერა 82 მამაკაცი და 36 ქალი. მოთხოვნილება იყო 42 მამაკაცის და 7 ქალისა. გაიგზავნა სამუშაოზე 45 მამაკაცი, 12 ქალი. აღდგენილია უფლებაში 2 მამაკაცი და 1 ქალი.

— **პროფკავშირების ყრილობა.** 20 ივნისს დასრულდა საქართველოს პროფკავშირების ყრილობა. არჩეულ იქმნა ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: გ. ყურულაშვილი, ს. ჯულელი, დუმბაძე, ბახუტაშვილი, რუხაძე, პ. საყვარელიძე, მარქაროვი, ელბაქიანი, ვაშაკიძე, მაჩაიძე, ჰეიდენი, ხუტულაშვილი, სარქისიანცი, ატოევი, ჯიჯაძე, ნოელეფავა და სერგეევი.

— **საქონლის ბირჟა.** 22 ივნის შიქარზე დიდი მოთხოვნილება იყო, დანარჩენზე მდგომარეობა

უცვლელია. მოთხოვნილებაა: სასოფლო-სამეურნეო იარაღის, სოხუმის თამბაქოსი, მუშის ფეხსაცმლის, ნახიჩევანის მარილის, რუსეთის მანუფაქტურის, ქინაქინის, ლურსმების და სხვ.

— **მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის ატელიე.** ტფ. აღმას. კომუნალურ განყოფილებას მიეცა წინადადება შეადგინოს იაკობ ნიკოლაძის ატელიეს შეკეთების ხარჯის აღრიცხვა და წარმოუდგინოს პრეზიდიუმს.

— **შაქარი რუსეთიდან.** ამ დღეებში ტფილისში მოელიან რუსეთიდან რამოდენიმე ვაგონს შაქრით დატვირთულს.

— **ბავშვების დახრჩობა.** მუშტაიდის ბაღის ახლოს მდინარეში ყოველ დღიურათ იხრჩობიან ბავშვები. საჭიროა ბავშვების და ყმაწვილების მდინარეში ბანაობის აკრძალვა.

— **თავშესაფარი** ტფილისის აღმასკომმა დაამყოფილა შუამდგომლობა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა ქუჩის მათხოვართა და მოხუცებულთა თავშესაფარის გასახსნელათ შენობის მიცემის გამო. აღმასკომმა ამ მიზნისათვის დაუთმო მარტყოფის მონასტერთან არსებული შენობები, წინადადება მიეცა სამმართველოს განყოფილებას შეაყენოს აღნიშნულ შენობებში მყოფ ავეჯეულობის სია და გადასცეს კომუნალურ განყოფილებას.

— დღეს, შაბათს 23 ივნისს, სახელოსნო კლუბში პლეხ. ჯრ. № 66 მიხეილ კავსაძის სახალხო მომღერალ მგალობელთა გუნდის მიერ გაიმართება დიდი საინტერესო კონცერტი 3 განყოფილებად.

— **ბალეტი ოზურგეთში.** ოზურგეთში ამ დღეებში მოელიან ბათომიდან ბალეტს ვაკარეცის ხელმძღვანელობით, რომელიც გამართავს რამოდენიმე წარმოდგენას.

— **სოხუმი.** აქ შესდგა ქართული სახელმწიფო დრამატიული დასი, რეჟისორათ და მპრემიერათ მოწვეულია ცნობილი მსახიობი მიშა გელოვანი.

— **ახალ-სენაკი.** ახალსენაკში გადაუხადეს იუბილე მსახიობ იორდანიშვილს.

— საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი იწვევს სამალარიო ექსპედიციაში გამგე-ექიმს, რომელიც უნდა იცნობდეს მალარიას ეპიდემიოლოგიურად და კლინიკურად. ექსპედიცია გაემგზავრება სამურძაყანოში (გალის რაიონში) და კახეთში (ალაზანის გაღმა) გამგე ექიმისათვის სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა.

მთხოვნელებმა უნდა მიმართონ წითელ ჯვარს curriculum vitae-ს წარმოდგენით (თაიროვის შეშესახვევი № 5) 10—2 საათამდე, არა უგვიანეს 28 ივნისისა.

პირველი იუბილე

ეს პირველი იუბილეა ხელოსანი მუშისა საქართველოს მაშტაბში, რომელსაც ტფილისის მუშა-ამხანაგები უმართავენ დღეს, ივნისის 23-ს, რუსთაველის თეატრში დამსახურებულ ასოთ-ამწყობ მუშას, **ბესო მაისურაძეს** კულტურის ასპარეზზე 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

გაზ. „ტრიბუნა"-ს ფურცლებზე ჩვენ, საზოგადოდ და კერძოდ ბესო მაისურაძეზე, არა ერთხელ და ორჯელ აღვნიშნეთ, რომ,—საბჭოთა წყობილების დროს, როდესაც ქვეყანაში „მუშათა კლასის ნებისყოფა ბატონობს—გამარჯვების შემდეგ, მუშა-ელემენტების წარსული ღვაწლის აღნიშვნა ზეიმების, იუბილეების და სხვათა სახით—**ბუნებრივი** და მასთანავე ახალი ზოვლენა არის ჩვენი ქვეყნის მუშათა ცხოვრებაში.

და მართლაც, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დღევანდელ დღემდე, კერძოდ ტფილისში, ჩვენ შევიქმენით მოწმენი მრავალი მოღვაწე პირების იუბილეებისა; მაგრამ მუშათა კლასის გამარჯვების შემდეგ მუშის ბესო მაისურაძის იუბილე რუსთაველის თეატრში:—

პირველი იუბილეა მუშისა.

ეს არის ზეიმი მაისურაძის სახით მთელი მუშათა კლასის კულტურის სფეროში გამარჯვებისა.

დაე, დარწმუნდნენ მუშათა კლასის დაუძინებელი და ისტორიული მტრები, რომ მუშათა ბატონობის გატეხა უკვე ძნელი საქმეა, ძნელია იმიტომ, რომ ის კულტურულია! დაე დარწმუნდნენ იმაშიც, რომ მუშათა კლასმა გამარჯვება შემთხვევით კი არ მოიპოვა, არამედ იმ ამხანაგების თავდადებით, რომელნიც მიუხედავად მეფის ჯალათების წინააღმდეგობისა, ამ 30 წლის წინეთ, მაშინ, როდესაც ჩვენს ცხოვრებას შავი ზეწარი ჰქონდა გადაფარებული,—აი, ასეთ რეაქციის დროს, ტფილისის ჯურღმულებში, მუშათა აუდიტორიებში, სადეკორაციო შირმებს ამოფარებული აკეთებდნენ მუშათა გამოღვიძების საქმეს და კულტურის წვლილი შეჰქონდათ დაქვეითებულ ამხანაგებში და აძლიერებდნენ სარევოლიუციო ძალთა რიგებს.

ერთი ასეთი დაუცხრომელი მუშათაგანი არის ჩვენი ამხანაგი ასოთ ამწყობი მუშა-მსახიობი **ბესო მაისურაძე.**

აი ასეთი მიმართულებისა და დამსახურებისათვის უმართავენ მუშები იუბილეს **ბესო მაისურაძეს.**

ჩვენ მოუწოდებთ ამხანაგებს, სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენას. და პატივი სცენ მუშათა კლასის კულტურულ დღესასწაულს!

სალამი მუშა იუბილიარს!

გაუმარჯოს მის იდეალს!

— —

თეატრი სარკეა ჩვენი ცხოვრებისა, მაშასადამე თეატრი იმავე დროს შკოლაცაა ჩვენი გონების განვითარებისათვის და ზნეობის გაფაქიზებისათვის. ერთი სიტყვით ტაძარია კულტურისა.

თუ რომ ეს ყოველი კულტურულ ადამიანისათვის უდავო დებულებაა, ცხადია, ბესო მაისურაძეს დესაც საზოგიდოდ და კერძოდ ქართველ ქალებს სცენაზე გამოსვლა **სამარცხვინოდ** ეჩვენებოდა, ეს ჩვენი ქალების ნაკლი და ამ ნაკლს ყოველთვის ბესო მაისურაძე ავსებდა. ეს — „მარია", „ანუკა", „ანუკა" არამედ „შუშანათი" (ჰეპოში) „მარინეთი" (და-ძმაში) და მრავალი სხვა.

ყველა ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, რომ პირდაპირ საოცარია,—როდესაც ღარიბი ოჯახის შვილი, სტამბის უბრალო და უსწავლელი მუშა, ხედავს და გრძნობს, რომ მშრომელი ხალხი დახშული და მოწამლული ჰაერით არის გარემოცული, რომ მას უეჭველად ესაჭიროება ჯერ განწმენდა და მერე გადახალისება და აი ჩვენც, ვხედავთ, რომ ამ 30—35 წლის წინედ კისრულობს სხვა ამხანაგებთან ხალხურ კულტურის მეთაურობას და დღევანდელ დღემდე ჩუმად, წყნარად, ხალისიანად და ბეჯითად ეწევა ჭაპანს იმ საქმისას, რომელიც **ყოველი პატიოსანი მუშის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს.**

ჩვენ ვამბობთ, რომ **მოვალეობას** შეგნებული პროლეტარი მუშისას, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ყოველი ადამიანი ერთნაირად არ ასრულებს ამ მოვალეობას; არიან ჩვენს ქვეყანაში ისეთი ხალხი, რომელნიც ხალხის სამსახურის ბელადობას ლამობენ, მაგრამ საკმარისია ეს ხალხი რამოდენიმე თვე **ეკონომიურად** მუშა ხალხის პირობებში ჩააყენო და ხელათ „მუსოლინის" პარტიებს ჩამოაყალიბებენ **თავის დასაცავად.** მუშათა კლასს კი ასეთი რამ არასოდეს არც ახასიათებდა და მით უმეტეს არ ახასიათებს დღეს.

მუშა ბესო მაისურაძემ კი პატიოსნად და უმწიკვლოდ შეასრულა **მშრომელი ხალხის სამსახურის მოვალეობა** მარტო იმით კი არა რომ ის **უსასყიდლოდ შრომობდა,** არამედ იმიტომაც რომ იმ შავბნელ დროს, როდესაც პროგრესიულ საქმიანობას ნაკლები თანამშრომლები და მიმდევარი ჰყავდა—ბესო მაისურაძე თავის ოფლით ნაშრომ უკანასკნელ გროშებსაც ამ ხალხის საქმეს ახარჯებდა.

ცხადია, მუშის ასეთი სამსახური და თავის განწირვა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ:—

„მუშათა განთავისუფლება - თვით მუშათ საქმეა!".

ჩვენი მუშა ხალხის გაზრდაში, მოპოვებულ თავისუფლებაში და პროლეტარულ კულტურის განვითარებაში რომ ბესო მაისურაძეს საგრძნობი წვლილი აქვს შეტანილი,—ამას ადასტურებს ის საიუბილეო დღესასწაული, რომელსაც მას ხალხი უმართავს დღეს რუსთაველის თეატრში.

ჰემარიტად ღირსია!

ვაშა იმ მუშას, რომელმაც თავისი ბრძოლა გამარჯვებით დააგვირგვინა.

ასოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

19. შენიშვნა პროფ. შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიის შესახებ.

პროფ. შ. ნუცუბიძის წიგნი ქართულ მწერლობის ისტორიაში მსხვილ მოვლენად ჩაითვლება. [illegible] სწორია ის აზრი, რომ ერის მატერიალური კულტურა [illegible] საზოგადოების ერის წევრზე კუთვნილ რკინის დახარჯულ რაოდენობით განიზომება, მაშინ ისიც მართალია რომ ერის სულიერ კულტურას აზრის აბსტრაქციის სიღრმე და რეფლექსის მძლეობა ზომავს. სრულიად სამართლიანად-დეკარტე ფიქრობდა, რომ ყოველი ქვეყნის კულტურული წინსვლა ფილოსოფიური წინსვლისაგან არის დამოკიდებულიო. არჩილ ჯორჯაძე სევდიანათ შეჰყურებდა ქართველი ხალხის მომავალს, რადგან ქართველებს არც ფილოსოფია აქვთ და არც ფილოსოფიის ქონების სურვილიო. და მართლაც, თუ ჩაუკვირდები ქართველი ხალხის კულტურულ განვითარების უკანასკნელ საუკუნეს, შეიძლება დაასკვნათ, რომ ქართველობის ორიენტის სხვა ხალხებთან ერთად აზრის აბსტრაქტობა და რეფლექსიური გონების მძლეობა, აკლიათ. ეს მდგომარეობა ვითომც და ჩვენი ენის არქიტექტონიკითაც განმტკიცდება: ბევრი ფანტაზია და წარმტაცი მხატვრობა, ხოლო ნაკლები-განყენება და სუსტი რეფლექსია. ჩვენი ერის წარსული ასეთი არ იყო; თამარის საქართველო არამც თუ მკლავით, არამედ აზრითაც გვერდს უმშვენებდა იმ დროის კულტურულ ხალხებს.

თვით შოთამ არისტოტელეს ტერმინებით ადიდა ღმერთი: „ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა"!..

აქ რამოდენიმე სიტყვით სავსებით გამოთქმულია არისტოტელეს ფილოსოფიის დედააზრი, რასაკვირველია იმ გაგებით, როგორც ის საშუალო საუკუნოების სქოლასტიკას ესმოდა.

ჩვენს ახლო წარსულს კი არავითარი ფილოსოფია არ გააჩნია.

სხვა ქვეყნებში დიდ ნიჭს უსათუოდ დიდი ცოდნა თან დაჰყვება, ჩვენში კი პირუკუ, ნიჭი ცოდნას ემტერება. თუ მაგალ. ამოცანაა გიოთე მეტი ნიჭიერი იყო, თუ მეტი მცოდნე. ჩვენში ეს ამოცანა არ არსებობს, აქ ნიჭიერი უსათუოდ ნეტარ ხსენებული პითიას როლს უნდა ასრულებდეს ცოდნის დარგში. ეს გარემოება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ რუსეთის ცარიზმი ყოველივე მეცნიერებას მშობლიურ ენაზე სდევნიდა და ეს სდევნა ერის მოაზროვნე ნაწილის აზროვნების დაჩლუნგებაში გამოიხატა. საჭირო იყო ცარიზმის დანგრევა და თავის განთავისუფლება, რომ მედგრად გამართულიყო წელში ქართული აზრი და ქართული მეცნიერება, ანუ მეცნიერება ქართულად შეექმნა. ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩუმად, მაგრამ მძლავრად წარმოებული აკადემიური მუშაობა საუკეთესო მოწამეა ჩვენი ერის სულიერი რენესანსის.

პროფ. შ. ნუცუბიძის წიგნი მთელ ეპოქას ჰქმნის ამ მხრივ. ნუცუბიძეს ერთი ხელის ჩამოქნევით ქართული ფილოსოფიური აზრი ევროპიულ სიმაღლეზე ჰაყავს. არამედ თუ გვერდით უდგება დასავლეთის ფილოსოფიურ პრობლემათა მკვლევართ, არამედ საპატიო ადგილს იჭერს მათ შორის. მომავალი თაობა ნუცუბიძის ფილოსოფიურ საქმიანობით უსათუოდ სათანადოთ დააფასებს. (რა უყოთ, თუ დღეს ჩვენში მისი გაგებით წამკითხველების რიცხვი ორსავე ხელის თითებზე ჩამოითვლება).

ამ წერილის მიზანი რასაკვირველია პროფ. ნუცუბიძის წიგნის შექება არ არის, არამედ ალეთოლოგიაში გამოთქმულ დებულებათა მოკლე კრიტიკული განხილვა. ფილოსოფოსების ისტორიული ბედია, რომ მათ ისეთი მოწაფე არ გააჩნია, რომელიც მასწავლებლის აზრს სავსებით ემხრობოდეს, ვერც ქართველი ფილოსოფოსი აცდება ამ ბედს. სიახლე და მძლეობა ფილოსოფიურ გენიისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას მისი მოწაფეები და მომავალი თაობა დაუბოლავებლად აკრიტიკებს. მას შემდეგ, რაც კიონიგსმერგელმა გენიოსმა კრიტიციზმის ზღუდე ააგო, აბა რომელი ფილოსოფიურად მოაზროვნე იტყვის რაიმე ახალს, თუ მას წინასწარ კანტი არ გაუკრიტიკებია.

Le medias res!

1. ჩემი მიხვდენით ბოლცანოს მნიშვნელობა ფილოსოფიური აზრის განვითარებისათვის ცოტათი გაზვიადებულია. თუმცაღა ჰუსერლმა აღმოაჩინა რომ ბოლცანო ლოღიკოსებს შორის, die ie gelebt haben, უდიდესი ლოგიკოსი იყო, მაგრამ ბოლცანოს Wahrheit an sieh, რომლის სახედის ყოველთვის der satz an sich ხმარობს, არ შეიძლება შეგნებულად იმ ახალ გნოსეოლოგიურ მიმართულების გზაზედ იდგეს, რომელსაც a priari საგანში გადააქვს და მას „გამოსათქმელის" (ძველი kategaris) ხელიდან ანთავისუფლებს. ბოლცანოს ჰეშმარიტება თავისთავად არას გზით საგნის თეორეტიული ცნობიერება არ არის.

2. „არსებულის შემეცნება იმაზე მეტია რაც არის", ასეთი შემეცნების იმპერატივი რა არის ეს მეტი? ჰეშმარიტება, მაგრამ ჰეშმარიტება ხომ მეცნიერებაც არის, რომლის მთავარი დებულება ამბობს: „შემეცნება არ უნდა შეიცავდეს არაფერს იმის გარდა რაც არის". უკამათო უნდა იყოს, რომ ჰეშმარიტების პრედიკატი მეცნიერებას, როგორც წევრია იმ მასწავლებელთა კოლეგიისა, რომელთაც მიზნათ დაუსახავთ;—გაკაფონ ნარ-ეკლით მოცული გზა, აღზარდონ უმეცარნი, ჩაუნერგონ ხალხს კეთილი გრძნობები, დაანგრიონ ძველი, დახავსებული ცხოვრება-და ძველის ნანგრევებზე შემოსონ ბწყინვალე სხივებით ახალი ცხოვრება. სამართლიანობაზე დამყარებული.

ამ მიმართულებით მუშა იუბილიარმა, ბესო მაისურაძემ, თამამად შეიძლება ითქვას, თავისი მისია თითქმის ნახევრად დააგვირგვინა.

არიან დღეს ჩვენში ისეთი პირები, რომელნიც ხალხის საქმის სასარგებლოდ ჩხირსაც არ აბრუნებენ, პირიქით, სხვების გაკეთებულ საქმეს იწუნებენ ანდა ყოველ შემთხვევაში-მზამზარეულად დაჰპატრონებიან ხალხის თავისუფლებას და ამის შემდეგ ცა ქუდათ აღარ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, მაგრამ ჩვენი ძველი ამხანაგი **ბესო მაისურაძე** უმთავრესად იმით განსხვავდება ასეთი **ტიპებისაგან,** რომ მას, მუშაობის დროს წითელი ჯარი კი არ იცავდა, არამედ წინ ეღობებოდა ნიკოლოზ რომანოვის **შავი ჯარი** და მისივე საზიზღარი ჟანდარმერია ხალხის სისხლში გათხუპნული პალაჩებით.

ბესო მაისურაძე ასეთ საქმიანობაში, რასაკვირველია, მარტო არ იყო, მას ბევრი თანაზიარი და თანამშრომელი მუშა-ამხანაგები ჰყავდა გვერდით, მაგრამ ამხ. ბესო ამ ამხანაგებისაგანაც იმით განსხვავდებოდა, რომ ის სცენის და საზოგადოდ თეატრალურ საქმიანობაში **შავი მუშა** იყო და აკეთებდა ყველაფერ იმას, რასაც ბევრი მუშა თითქმის თაკილობდა. და თუ გსურთ ბესო მაისურაძის, ასე ვსთქვათ საქმიანობის ბიოგრაფიას გაეცნოთ, ჰკითხეთ ქართული თეატრის თითქმის ყველა ძველ მსახიობებს და ყველა ძველ სცენის მუშა-მსახიობებს და თქვენთვის სავსებით ნათელყოფილი იქნება ბესოს ვინაობა. გარეთა უბნებში მუშათა კულტურის განვითარების საქმეში.

ვის არ უნახავს ბესო მაისურაძე რამდენიმე წლის განმავლობაში ბოხჩა აკიდებული და მიმავალი სახალხო თეატრისაკენ?

დაიჯერებ მკითხველო, თუ გეტყვით, რომ ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდი, როდესაც სცენებზე გამოდის ხოლმე ეროვნულ ტანთსაცმელში გამოწყობილნი, ყველა ეს ქულაჯები და წუღები **ბესო მაისურაძის საკუთარი ნიჭით და ხელებით შეკერილი?**—ვიცით, ბევრი ამას არ დაიჯერებს, მაგრამ რა ვქნათ, რომ ეს მწარე სინამდვილეა.

რა ახასიათებს კიდევ ბესო მაისურაძეს?

ჩვენ ვამბობთ, რომ ბესო მაისურაძე მეტად არა ჩვეულებრივი მუშაკი იყო ამ 30 წლის განმავლობაში მუშათა უბნებში. აბა დაუკვირდი დღევანდელ ნომერში მოთავსებულ ბ. მაისურაძის სურათს **„ხანუმას" როლში!**—რას ნიშნავს ეს სურათი? თქვენ გგონიათ, რომ ეს უბრალო ილუსტრაცია არის ჩვეულებრივი თეატრის მსახიობისა? ეს არის ილუსტრაცია ჩვენი ცხოვრების კულტურის ნაკლულევანებისა—ეს სურათი იმ მომენტის მაჩვენებელია, რომ

პირველ შემეცნებას აუცილებლად და ლოღიკურად თან დაჰყვება. რაღა არის ფილოსოფიის საგანი? იმაზე მეტი რაც არის; ეს პასუხი არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან აქ ან პარადოქსონი და შემეცნების და ფილოსოფიის შემდეგნაირი დახასიათება არის: ფილოსოფიის საგანია ჰეშმარიტების შემეცნების ჰეშმარიტების შემეცნება. ხოლო ეს დეტერმინაციაᲐ plus-ს იმაზედ რაც არის არ იძლევა. რაც არის ის არის, არსებული ნამდვილია. plus-ის და minus-ის პრედიკატები არსებულში არ არის ნაგულისხმები.

3. და რადგან „ჰეშმარიტებას თავისი საკუთარი საგანი არსებულის გარეშე არ გააჩნია და არც არსებულის გვერდით", ამიტომ შემეცნება არ შეიძლება იყოს მეტი არსებულზედ. არსებულს მეტი და ნაკლები არ აქვს. თუ ჰეშმარიტება მეტია, ის იმაზედ მეტი კი არ არის, რაც არის, არამედ ის მეტია ნაკლებზედ ე. ი. მეტი შემეცნებისათვის, დაბოლოს მხოლოდ შემეცნობელისათვის.

ჰეშმარიტება, როგორც არსებულის მხილება, რაც არის მეტი კი არ არის, არამედ იმდენი, რაც არის და რაც უნდა იყოს.

4. მეცნიერების ე. ი. სინამდვილის შემეცნების გვერდით, რო უფრო ზოგადი და პრინციპიალი შემეცნება ანუ შემეცნებათა შემეცნების თეორია უნდა არსებობდეს, ეს უდავოა. ხოლო რა არის ამ შემეცნებათა შემეცნებების ანუ შემეცნების თეორიის შინაარსი. ავტორის აზრით არსებულზე მეტი, ანუ ჰეშმარიტება. ჩემი აზრით კი ეს materialiter პასუხი არ არის. არსებულს, რომ მეტი და ნაკლები არ ახლავს, ეს ჩვენ უკვე დავინახეთ. ხოლო მეცნიერულ ფაქტს ალეთეოლოგიური ფაქტი წინ არ უნდა უსწრობდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში ალეთეოლოგიურ ფაქტს არამც materialiter. არამედ არც tormaliter არავითარი საზომი არ გააჩნია. ის ყოველივე შეიძლება იყოს, განსაზღვრული რაიმე—რამ ის არ არის. განსაზღვრავის განუსაზღვრავად კი შემეცნება, როგორც ასეთი შეუძლებელია.

5. ჰეშმარიტება რომ იმის მაჩვენებელია, რაც არის, რაც არსებობს, რომ ჰეშმარიტების არსებობა მეცნიერების ფაქტით განიზომება, ფილოსოფია ხომ მოცემული ჰეშმარიტების გარჩევაა—ეს ყველა უდავო ფილოსოფიური განძია, მაგრამ სწორედ ეს ფაქტი ჰეშმარიტების ალეთოლიგიურ შესაძლებლობისათვის არასფერს არ ამბობს. პირიქით ის ნათელჰყოფს ჰეშმარიტების პრობლემის აქსიომატურ ბუნებას, ჰეშმარიტების ერთი კრიტერიუმი გააჩნია, სახელდობ ის, რომ არავითარი წინასწარ გამომუშავებული ჰეშმარიტებას საზომი არ არსებობს. ჰეშმარიტება მხოლოდ მეცნიერების ფაქტზედ განიზომება. და რამდენად ალეთოლოგია სცდილობს იყოს საზომი მეცნიერული ფაქტის წინ, ის მიუღებელია.

6. თეზა: ჰეშმარიტება არ არის საგანი მეცნიერების, უარყოფილ უნდა იქნას, თუმცაღა მეცნიერება უშუალოდ ჰეშმარიტ საგანს ეხება, მაგრამ ყოველივე მეცნიერული შეხება შემეცნებაა; ჩვენ არავითარ ჰეშმარიტებას არ ვიცნობთ გარეშე მეცნიერების ჰეშმარიტებისა. ჰეშმარიტი არსებულ საგანს გარეშე, ან საგნის გვერდით არ არსებობს. თუმცაღა საღია ის დებულება, რომ ჩვენ ყველაზე უფრო დიდი ჰეშმარიტება გარე მდებარე ქვეყნის არსებობაში მოგვეპოვება, მაგრამ თვით ეს დებულება ამართლებს იმ მოსაზრებას, რომ ჰეშმარიტება მხოლოდ შემეცნებით შეხებაა ე. ი. ის არსებულს და ამ არსებულის შემეცნების აქტის რელაციაა, რაიც ალეთოლოგიას ეწინააღმდეგება.

7. გარკვეულობის თეზა სავსებით არ ეწინააღმდეგება სხვა გვარად ყოფნას. გარკვეულობა არც უარყოფს და არც აუქმებს სხვა გვარ შესაძლებლობას. გარკვეული მხოლოდ ეწინააღმდეგება ასეთივე გარკვეულს, ე. ი. გარკვეულს ერთ სისტემაში. მეორე სისტემაში კი სხვა გვარი, მეორე გარკვეულობა არსებობს, შეიძლება ბუნდოვანი პირველი სისტემის მიმართ, მაგრამ ძალიან გარკვეული თავისშივე თავში. ფილოსოფია იმით კი არ აფართოებს და აღრმავებს სპეციალ მეცნიერებას, რომ ის არსს ერთგვარად გარკვეულის სახეს აძლევს, არამედ იმით, რომ ის რამოდენიმე გარკვეულობას შესაძლებელს ქმნის, რითაც არსის მრავალსახიანი ასახება მკვიდრდება.

ლაიბნიცის ღმერთი სხვა და მრავალ შესაძლებელ ქვეყნებიდან იმიტომ კი არ ირჩევს აი ამ ჩვენ ქვეყანას, რომ ეს გარკვეულია და სხვა გვარი ქვეყნის არსებობას უარყოფს, არამედ იმიტომ რომ ყველა შესაძლებელ ღვთაების არსებობისათვის ეს ჩვენი ქვეყანა ყველაზედ უფრო მიზანთშეწონილი და მიზანთმომქმედია.

8. დებულება, რომ დადებითი და უარყოფითი მსჯელობის საფუძველი გონების ფუნქციების გამომხატველ აქტში კი არ იმყოფება, არამედ თვით მსჯელობის საგანში, უსათუოდ მისაღებია. სინამდვილეა ის, რაიც დადებითი და უარყოფითი კონსტრუქციაში თავისი თავის სწორ გამოთქმას სცდილობს, მაგრამ მათი საერთო დასაბამი რად უნდა იყოს ალეთოლოგიური ბუნებისა, არ არის ნათელი.

9. შემეცნების პირველი დებულება, „შემეცნება მეორობითი მოვლენაა" ჯანსაღი და კარგად მოფიქრებულია. დასავლეთის ფილოსოფიის მომაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. მაისურაძე „ხანუმას“ როლში.

მუშა მსახიობის

ბესო მაისურაძის

დღევანდელ იუბილეს გამო

(ბ. მაისურაძე სხვა და სხვა როლებში).

ბ. მაისურაძე „ნიკო მოურავი“ პიესა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“.

ავლაბრის სახალხო თეატრის ქართულ-სომხურ სცენის მოყვარეთა შეერთებული დასი (1903—1905 წ.) ამხანაგებს შორის ბესო მაისურაძე (თეთრ ტანთსაცმელში).

ბ. მაისურაძე „ელიზბარ ერისთავი“ პიესა „თამარ ბატონიშვილი“.

ვდავებელი შეცდომა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან, რამდენად ის იდეალიზმი იყო, ვერ გაიგო, რომ შემეცნებას წინ შესაცნობი საგანი უნდა უსწრობდეს; ex nihilo nihil fit და თუ რაიმე არ არის, არც თვით შემცნება იქნებოდა. პროფ. ნუცუბიძის აზრით კიდევ პლატო მისულა ამ ჭეშმარიტებამდინ, სახელდომ „ანამნეზის“ სწავლაში. ჩვენ არ გვგონია რომ იდეალიზმის დამაარსებელის ეს სწორი გაგება იქნებოდეს. თუმცაღა „მენონ“ და „ფედონში“ შემეცნება, როგორც მოგონება და გახსენება რაღაც უკვე არსებულის, დახასიათებულია; ხოლო „თეეთეტში“ პლატო ობიექტიურად არსებულის აღმოჩენამდისაც კი მიდის, მაგრამ მაინც არ არის ნათელი, რომ გონება თვით ობიექტურის ნაწილია და არა ობიექტური გონების ქვეშევრდომი.

10. შემეცნების მეორე ძირითადი დებულება: „შესაცნობი აუცილებლად გარკვეულობას უნდა წარმოადგენდეს“ არ არის პასუხი materialiter. რაში გამოიხატება შემეცნების საგნის გარკვეულება, რა არის თვით გარკვეულება? დებულება პასუხს არ იძლევა. შეგვეძლო გვეთქვა გარკვეულობა არის არსის კანონთმწყობადი ბუნება, მაგრამ ასეთ განმარტებას ალეთოლოგია არ გაიზიარებს.

11. მესამე თეზა, „შემეცნება და შესაცნობი, დაგვარი უნდა იყონ“, კლასიურია. ეს თეზა ესე ძველია როგორც ფილოსოფიური სპეკულაცია თვით. შემეცნების თეორია დაგვარობის პრობლემის გადაჭრით ამოიწურება. რა არის ის დაგვარი, რომელიც ორივე ნაწილს თან დაჰყვება. ავტორის აზრით ეს ჭეშმარიტება არის, მაგრამ რა არის თვით ჭეშმარიტება, რაგვარია ის? დაგვარობის თეზას ის აზრი აქვს, რომ დაგვარი დაგვარს, სწორი სწორს იცნობს და შემეცნება პრინციპიალურად სისრულეში მოდის. არის ჭეშმარიტება ის დაგვარი, რომელიც საგანში და შემცნობელში ერთი და იგივეა. ეჭვს გარეშეა, რადგან საგანი რომ ჭეშმარიტია ამას ბევრი გარკვევა არ ესაჭიროება, ხოლო შემცნობელი,—თუ კი ის სწორ შემეცნებას აშენებს,—რომ თავისთავად არსებულ ე. ი. საგანში ჭეშმარიტებას ჭეშმარიტებად ჩვენთვის ქმნის, ესეც ცხადია. მიუხედავათ ამისა იგივეობის (დაგვარობის) კლასიური პრობლემა მაინც გადაუწყვეტელი რჩება. Fòrmaliter პასუხი ის არის, რომ ეს დაგვარი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამ პასუხში შინაარსი არ მოიპოვება. ფორმალური ჭეშმარიტება საშვალებას არ გვაძლევს გამოცნობის, ის ყოველთვის საჭიროზედ მეტს ამტკიცებს. მეტის მტკიცება კი იგივე სისუსტეა, როგორც ნაკლების მტკიცება ჭეშმარიტი დაგვარი შეიძლება იყოს ღვთაებრივი შემეცნებითი ძალა, რაღაც მეტაფიზიკური „ლოგოი“, ან და კიდევ შეიძლება ჭეშმარიტება რომელიმე genius malignus არის; ერთი სიტყვით აქ განსაზღვრა შეუძლებელია, დაგვარობის თეზა გამოთქმისთანავე მატერიის მხრიდანაც შემოფარგლული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საშიშია რეალისტურ ღვინოში იდეალისტური წყალი არ ჩაერიოს და ცნობიერება შემცნობელის პრიმატობის აღიარებად არ იქცეს.

12. არსებულზე მეტი, რომელიც თვითონ არ არსებობს, ყოველივე არსებულის არსებობის შემეცნების პირობაა. არის ცნობიერება. ცნობიერების უმთავრესი სახე თვითცნობიერება, თვითცნობიერების მატარებელი კი ადამიანი. ავტორი აქ ორგინალურ შედარებას ახდენს: „ადამიანი არსებობის ასეთი უმაღლესი ფორმაა. ის არა მარტო არსებობს, არამედ იცის, რომ არსებობს; ის არა მარტო მოქმედობს, არამედ შეიცნობს, თავს მომქმედად. ხე, მცენენარე, ქვა არსებობენ იმრიგადვე, როგორც ადამიანი“... მაგრამ „არც ხეს არც ქვას და სხვა არ გააჩნია უნარი თავის არსებობის გარეშე გამოვლენისა“ და სხვ. (იხ. ალეთ. საფ. 58.) შ. ნუცუბიძის შემდეგ და რასაკვირველია ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად ასეთივე აზრები ცნობილმა შპენგლერმაც გამოსთქვა (des Untagaup des Adendlandes ტომი მეორე). თუმცაღა არსებითად ამავე აზრს გამოხატავენ მარმურგელები კოჰენი და განსაკუთრებით კი ნატორპი მათ განრჩევაში Sein Bwusstheix, daBewuntsein ის შორის.

ჩემის აზრით ამავე საქმის უფრო რეალისტური გამოთქმა იმით შეიძლებოდა, რომ არსზე მეტს, ან გარკვეულობას კანონიერებას, დავარქმევთ. კანონიერება materialiter სრული პასუხის გაცემა არის. შემეცნება იმიტომ არის შესაძლებელი, რომ შემეცნების საგანი კანონთწყობილია, ხოლო შემცნობელი აქტი კანონთ-წყობადი. ადამიანი, თვითცნობიერების აქტით დაჯილდოვებული არსი, უაღრესი განვითარებაა კანონიერების. თვითცნობიერი კულტურის წინსვლა შეუწყვეტელი გამარჯვებაა მეტი კანონიერების ნაკლებ კანონთწყობაზედ.

13. რომ გნოსეოლოგიას და ლოღიკას მათზედ უფრო ზოგადი და პრინციპიალი ფილოსოფიური მეცნიერება წინ უნდა უსწრებდეს, მისაღებია. არისტოტელესათვის ეს ანბანური ჭეშმარიტება იყო; ის ნაწილი მისი სწავლისა, რომელსაც შემდეგ მეტ სახელად,—რაღაც ბიბლიოგრაფიული გაუგებრობის წყალობით,—მეტაფიზიკა ეწოდა, არის პირველი ფილოსოფია, ანუ სწავლა სავალდებულო პრინციპეპზედ რომელშიაც ფიზიკის და ლოღიკის პრინციპები, ნაგულისხმებია. უახლოეს ფილოსოფიურ აზროვნებასაც თან დაეტყო ასეთი გზით მსვლელობა. მაგ. ჰუსერლის ფენომენოლოგია და ივ. რეჰმკეს „Philosophie als grundwissen—nhaft“, შემეცნების თეორიაზედ და ლოღიკაზე უფრო ზოგადი ფილოსოფიური მეცნიერების აშენებას წარმოადგენენ თვით ავტორი ასახელებს ლეონარდ ნელზონის ერთ გამორკვევას, რომელიც ნელზონმა ერთ ვოლონიის ფილოსოფიურ კონგრესზედ წაიკითხა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ნელზონის დასახელებულ შრომას („Über dussogen Erkenntnspz“) ვკითხულობდი, ნელზონის წერილმა მეც დამიმტკიცა, რომ შემეცნების თეორიის სიმაგრეები, არც ისე მძლავრი არიან, როგორც ეს ერთი შეხედვით სჩანს. ნელზონი თვით არავითარ გამოსავალს არ იძლევა, ჩემი აზრით კი საჭირო იყო სულ ახალი ფილოსოფიური დისციპლინის შემოხაზვა, რომლის სახელი Philosaphiuhe Axiomatik—ფილოსოფიურ აქსიომატიკისათვის—უნდა დარჩეს.

15. „ჭეშმარიტების თავის-თავად გარდაქცევა ჭეშმარიტებად ჩვენთვის არის შინაარსი შემეცნებისა“, ეს თეზა კარგი და ღრმად ნააზრევია. ავტორი თავის ფორმალურ გზას შინაარსის მხრითაც კარგად ხაზავს და ამბობს, რომ ჭეშმარიტების თავის თავად შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ არსი გარკვეულია ანუ წესების წინა მქონეა. დიახ, არსი წესების წინამქონეა, საჭიროა ხოლო ამ სწორი და მართალი აზრის უფრო ხაზ გასმით გამოთქმა. არსი კანონთ წყობილი და კანონთ წინამქონეა. სადაც არ არის კანონი, იქ არაფერი არ არის.

16 ჩვენ სხვა გვარად არ ყოფნის თეზას უნდა დაუბრუნდეთ უკან. არც აქსიომატიური და არც დოგმატიური გზით არ შეიძლება დასკვნის გამოყვანა, რომ გარკვეულობა უსათუოდ სხვა გვარად არ ყოფნას გულისხმობს.

ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ ჭეშმარიტებისათვის ყოველივე დებულებისა ერთად-ერთი საზომი არსებობს, სახელდობრ მეცნიერული ფაქტი. ფილოსოფიურმა თეზამ კონტაკტი არ უნდა დაკარგოს. ჩემი აზრით ეს თეზა ყოველივე კონტაკტს სწყვეტს მათემატიკის და ფიზიკის, განსაკუთრებით დიმენსიონალური გეომეტრია და აინშტაინის თეორიასთან. საილიუსტრაციოთ ავამეტყველოთ საერთო მელატიგომის თეორია ალეთოლოგიის ტერმინებით. ერთ გარკვეულ სისტემას, როგორც არსს ახასიათებს გარკვეულობა, მასში მომქმედი კანონები კინსტანტთ ბუნებისა არიან. ეს გარკვეულობა იქცევა ჭეშმარიტებად ჩვენთვის ე. ი. ჩვენ ვიცით ამ სისტემის შინა კანონები, მაგ. კონსტანტი მათი ელემენტებისა, ვსთქვათ ეს კანონი ფორმულით X=f(y) გამოიხატება და სხვ. აინშტაინის მტკიცებით საჭიროა ეს სისტემა თავისი დასვენებიდან გამოგიყვანოთ და სხვა სისტემის გავლენის და მიმართების ქვეშ დავაყენოდ, რომ ყველა ძველი მტკიცე და ჭეშმარიტ კანონები ირყევიან, ელემენტთა კონსტანტომა ქრება, X აღარ უდრის f(y) i ერთი სიტყვით იმ სისტემის კოორა დინატთა სისტემა იცვლება. ეჭვს გარეშეა, რომ სხვა გვარად არ ბყოფადი ალეთოლოგიური ჭეშმარიტებაც თან გაყვება. აქ არსებულის სხვა გვარად ყოფნის პრინციპიალი შესაძლებლობა მყარდება.

17. ძალიან ფართო ადგილი პროფ. ნუცუბიძს ნარკვევებში მოცემულობის პრობლემას აქვს დათმობილი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ისტორიულად განსაკუთრებით კი კანტის შემდეგ შემეცნების პრობლემა მოცემულობის საკითხის ასეთი თუ ისეთი დაყენება არის და სხვა არაფერი. მიუხედავათ ამისა ავტორი სამართლიანად ფიქრობს, რომ მოცემულობა ვერ სწყვეტს შემეცნების ძირითად საკითხს. ყველა ის, რასაც ავტორი აქ მოგვითხრობს, მოწმობენ საქმის სრულ ცოდნას და აზროვნების არა ჩვეულებრივ სიღრმავეს. დასკვნა, რომ კიონისმერგელი გენიოსი კვლავ შესდგა ანტიურ ფილოსოფიის გზაზედ, და შემეცნება, როგორც შემეცნების და შესაცნობის ერთგვარობის პრინციპით შესაძლო გახდაო, ძალიან სწორი გეგმაა კანტისა. ჩემი აზრით ასეთ დაგვარობას პრინციპიალი იგივეობა უნდა ეწოდოს. კანტის უდიდესი დამსახურებაა, რომ მან პირველად შემეცნება, როგორც პარციალი იგივეობის სისტემა, ააშენა. მიუხედავად ამისა კანტი თუ მაინც იძულებული იყო ამ პროცესში გონებისათვის პრიმატობის როლი მიენიჭებია—რომ ამით თავის დროსათვის გასაგები დარჩენილიყო—და თუ მარბურგელები კანტის შეცდომის გასწორების მაგივრად შეცდომას სისტემად აქცევენ და შემეცნების ადგილს შემოქმედება იჭერს, ამას გრძელი ისტორიული გეგმა სჭირია. სახელდობრ ეს ის, რომ კუზანელიდან დაწყებული ვიდრე მარბურგელებამდინ მთელი ახალი ფილოსოფია ერთ დაუბოლავებელ ცდას წარმოადგენს, ძველი ღმერთი თავის პოზიციებიდან უკუგდებულ რა მისი ადგილი გონებისაგან დიკავებულ იქნას. სპინოზას რაციონალიზმში და ჰეგელის იდეალიზმში გაღმერთებული გონება ვირთუოზულ მწვერვალებს აღწვევს,

18. თუ მოცემულობის პრობლემა შემეცნების პრობლემას ვერ სწყვეტს, რაიმე სხვამ უნდა გადასწყიტოს ხომ ის; ავტორის აზრით შემეცნების პრობლემა მხოლოდ იმმანენტური ტრანსცენდენტიზმით გადაიჭრება. ეს თეზა უბრალო და ნათელია. შემეცნების საგანი შემეცნებამდის დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს (ტრანსცენდენტური მომენტი), ხოლო შემეცნებაში ეს არსებული უნდა მოცემული იყოს (იმმანენტიზმი.) ჩვენ თუ არ ვცდებით გეგრობთ, რომ ეს დებულება მარტივი და მართალია, მაგრამ შემეცნების შესაძლებლობას ის არ ეხება. კანტის კრიტიციზმის უდიდესი დამსახურება იყო ის, რომ კანტმა პირველად დააყენა შემეცნების

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მსხვილი კაპიტალის კონცენტრაციის ახალი ტალღა შეერთებულ შტატებში.

ბ-ნ გარდინგის მთავრობის დროს, რომელმაც განაცხადა, რომ რაც შეიძლება ნაკლებ ჩავერევი ეკონომიურ ცხოვრებაშიო, ამერიკის მსხვილი კაპიტალის კონცენტრაციამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მსხვილი კონცერნების გაერთიანება მსგავს კომბინატებთან სწრაფად ხდებოდა. ამ რამდენიმე ხნის წინათ გაერთიანდა სპილენძის დამმუშავებელი ორი დიდი კომპანია: ანაკონდის და ჩილის, და ამ რიგათ საფუძველი ჩაეყარა სპილენძის ტრესტს კაპიტალით 470 მილიონი დოლარი. ხორცის კონსერვების ორი დიდი კომპანია—ამორ პაკინგ კომპანი და მორის პაკინგ კომპანი—გაერთიანდენ ერთ დიდ კონცერნში კაპიტალით 550 მილიონი დოლარი. შემდეგ გაერთიანდენ ვიფლეების და მედივილის ფოლადის ჩამოსხმული ქარხნები. ამ ახალ კომბინატს მეორე ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებში ფოლადის დამუშავების საქმეში. გაერთიანების ტენდენციები ემჩნევა რკინის გზების კომპანიებს, ნავთის მრეწველობას და სხვა.

გაერთიანების ყველა ამ პროცესიების უკან სდგას ვილლ სტრიტის (ნიუ-იორკის ბირჟის) ფინანსიური კაპიტალი. ყველა კომპანიებში დღის წესრიგში დგას კაპიტალების გადიდება. ოთხი დიდი საზოგადოების კაპიტალი უკვე მილიარდებს გადასცილდა. ამერიკის ტელეფონისა და ტელეგრაფის კომპანიამ ამას წინათ თავისი კაპიტალი ერთი მილიონი დოლარით გაადიდა და ამით აჯობა ფოლადის ტრესტს, რომლის კაპიტალი ცხრაას ორმოცდაათ მილიონ დოლარს უდრის. სტანდარტ ოილ კომპანის კაპიტალი უდრის 825 მილიონ დოლარს. მოტორების გენერალური კომპანიის კაპიტალი უდრის 1 მილიარდ 200 მილიონ დოლარს. თანაბრად კოლოსალური მოგება, რომელიც 1923 წელს მიიღეს ტრესტებმა და კომპანიებმა და ის დივიდენდიც, რომელიც მათ დაარიგეს.

კაპიტალის ეს კოლოსალური კონცენტრაცია, თავის თავად ცხადია, დიდ უკმაყოფილებას იწვევს წვრილ ბურჟუაზიაში. თავის დროზე წვრილი ბურჟუაზია რუზველტის მეთაურობით შეეცადა შეესუსტებია მსხვილი ტრესტების ძლიერება, ახლაც წვრილი ბურჟუაზიის მეთაურები ამასვე ცდილობენ. კვლავ ახლოვდება არჩევნები და ისინი ეძებენ ლოზუნგებს, რომ მიიმხრონ მუშები, წვრილი ვაჭრები და უკმაყოფილო მეურნეები.

წვრილი ბურჟუაზიის ახლანდელმა მოწინავე მებრძოლმა სენატორმა ლა ფოლეტმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ტრესტებს. მას 1923 წელს სურს მიაღწიოს იმას, რაც რუზველტმა ვერ შესძლო 1910 წ. ნახშირის ტრესტი უნდა დაიშალოს, მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები რათა რკინის გზის კომპანიები, რომელთაც დიდი გავლენა აქვს ნახშირის ტრესტებზე, ჩამოშორებული იქნეს ნახშირის მრეწველობისაგან. გამორკვეული უნდა იქნეს აგრეთვე საქმის მდგომარეობა შაქრის ტრესტში, რადგან სენატორი ლა ფოლეტი დარწმუნებულია იმაში, რომ ეს ტრესტი სარგებლობს რა თავისი მონოპოლური მდგომარეობით, თავისი სურვილებისამებრ აწესებს ფასებს შაქარზე. მეორე მხრით მიწად-მოქმედების ახლანდელი მინისტრი ვალასი აცხადებს, რომ ის პროტესტით გამოვა შეერთებული შტატების სასამართლოს უმაღლეს პალატაში ხორცის კონსერვების ტრესტის შექმნის გამო. ფოლადის ტრესტებს, რკინის გზების კომპანიებს და ბანკებს ძლიერ აშინებს ასეთი გამოსვლები, რომლებიც შესაძლოა მათ წინააღმდეგაც დარჩეს მიმართული. განსაკუთრებით ენერგიულათ ილაშქრებს ლა ფოლეტი სტანდარტ ოილ კომპანის წინააღმდეგ. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას რომ ეს ტრესტი გაძლიერდა სწორეთ ე. წ. დახურვის შემდეგ 1911 წ.

მთავრობა თავის მხრივ ცდილობს მოიგოს ფერმერების და წვრილი ბურჟუაზიის გული. ის ცდილობს გამოსტაცოს ლა ფოლეტს ტრესტებთან ბრძოლის ლოზუნგები, რომ ამით დაუბრუნოს დაკარგული მნიშვნელობა გარდინგის სისტემას, მაგრამ აშკარა და გარკვეული ეკონომიური კანონების წყალობით ვილსტრიტის ძლიერება ყოველ წლიურად მატულობს დივიდენდების, მოგების და გაერთიანების საშვალებები. წვრილი ბურჟუაზიის სასოწარკვეთილი ხმები ვერ შეაჩერებს ისტორიის მსვლელობას.

„ინპრეკორ“.

ჯრეჯილებიდან

დ. დიდი-ჯიხაიში.

ეს დაბა კულტურულ დაბათაგანია საქართველოში აქ არსებობს ტეხნიკუმი და რამოდენიმე შრომის სკოლები. ამ სასწავლებლების მეოხებით ჯიხაიშის მშრომელი ემატება ყოველ წელს ინტელიგენტთა კადრი, რომელიც ხელს უწყობს სწავლა-განვითარებას და საზოგადოების კულტურულად მაღალ საფეხურზე დაყენებას...

არსებობს ფოსტა, სამკითხველო, აფთიაქი, საავადმყოფო და სხ. კულტურული დაწესებულება.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ამ დაწესებულებებს უდგას სათავეში ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელთა გონივრული საქმიანობამ და დიდი-ჯიხაიშის საზოგადოების ენერგიულმა დახმარებამ ამ სოფელს მიანიჭა პირველხარისხოვანი დაბის მნიშვნელობა...

ამ ჯგუფის აქტიური მოქმედება კულტურულ ფრონტზე, წითელი ხაზივით შეგვიძლია გავავლოთ დიდი-ჯიხაიშის მშრომელი ხალხის კულტურულ-პოლიტიკურად დაწინაურების სფეროში.

ფარი.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი. სამშაბათს, 19 ივნისს, გაიმართა მეორე სახელმწიფო კონსერვატორიის მოწაფეთა გამოსაცდელი საოპერო საღამო, რომელსაც დიდძალი არტისტიული და მუსიკალური საზოგადოება დაესწრო. საღამოს პროგრამა შესდგებოდა სხვა და სხვა ოპერების თითო მოქმედება—სცენებიდან.

დაიდგა გლინკის „რუსლან და ლიუდმილას“ მე-3 აქტი, რომელშიაც გორისლავას პარტიას მღეროდა კონსერვატორიის მოწაფე ქალი ჩუტკერაშვილი. (ლირიკო-კოლოტარული სოპრანო). მომღერალს სასიამოვნო ლამაზი ხმა აქვს, განსაკუთრებით მაღალ რეგისტრებში. აგრედვე კარგი ფრაზიროვკა. თავისუფლად გრძნობდა თავს სცენაზე. ჩუტკერაშვილს აქვს მომავალი და კარგი მომღერალი იქნება.

რატმირს მღეროდა მოწაფე ქალი სიროტკინა (კონტრ-ალტო), რომელსაც სასიამოვნო ტემბრის ხმა აქვს. მაგრამ მისი სიმღერა მკრთალი იყო. ქალი ღელავდა და შეიძლება ეს იყო მიზეზი. ფინის მღეროდა სვანიძე. მას კარგი სასიამოვნო ტემბრის ხმა აქვს, სუფთა, კარგი ფრაზიროვკით. თავისუფლად მღერის. უსათუოდ კარგი მომავალი აქვს. რუსლანს მღეროდა კრავეიშვილი (ბარიტონი) მოწაფეზედ ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც ამ მოქმედებაში მას საამისო სასიმღერო არა აქვს რა, თუმცა მისი ხმა მოქმედების ფინადიის კრარტეტის დროს სასიამოვნოდ მოისმოდა. კვარტეტი მწყობრად და გრძნობით იმღერეს მოწაფეთ. კარგი იყო ამ მოქმედებაში პლასტიური ცეკვა ს. აზარაპეტიანის სტუდიის მოწაფეთა.

წარმოდგენილი იქმნა არენსკის 1 მოქმედებიანი ოპერა „რაფაელი“, რომელშიაც აღსანიშნავია მაჭავარიანის ქალი ფარნარინა, რომელსაც სასიამოვნო ხმა აქვს, და მოწაფე აღლაძე (ბანი) რომელიც კარდინალს მღეროდა. მისი ბანი სასიამოვნოა, სუფთა. თავისუფლად მღერის მას ტანადობაც ხელს უწყობს. აღლაძე ხმის კარგად დამუშავების შემდეგ კარგი მომღერალი იქნება, მას საამისო ძალა შესწევს.

დაიდგა „პიკის ქალი“, მე-2 აქტი, რომელშიაც აღსანიშნავი არიან მოწაფე ქალები ოქროპირიძე ლიზა, ვაშჩენკო მაშო, რომლებმაც კარგად და ლამაზად შეასრულეს დუეტი. განსაკუთრებით კარგი სასიამოვნო ხმა აქვს ვაშჩენკოს ქალს, კარგი იყო მის მიერ შესრულებული „სიმღერა“. ამ მომღერალს კარგი მომავალი აქვს. სუსტი იყო გერმანის ამსრულებელი მინასიანი. მას ამ პარტიისათვის ხმა არ შესწევს და არც მისი ხმა შეეფერება ამ პარტიას.

შესრულებული იქმნა დელიბას „ლაკმე“, მე-2 მოქმედების სცენა. მოწაფე, ქალმა გოგლიჩიძემ იმღერა ლაკმეს სასიმღერო ძნელი ბალადა. „პარიას ქალი“, რომელიც ამ ოპერაში ერთად ერთი ძნელი სასიმღეროა. რადგანაც თხოულობს ხმის დიდს ტექნიკურ დამუშავებას. უნდა მოწაფის სასახელოდ ითქვას, რომ მან კარგად და ლამაზად შეასრულა ეს სიმღერა, თუმცა მისი ხმა ჯერ-ჯერობით უძლურია. უკანასკნელი მოქმედება იყო „აიდა“, მე-2 სურათი. ამნერისს მღეროდა ჭელაშვილის ქალი (მეცო-სოპრანო). მას კარგი ხმა აქვს. განსაკუთრებით მაღალ ფარდებში, თუმცა მის ხმას ჯერ კიდევ კარგი დამუშავება სჭირია.

რასაკვირველია ეს მხოლოდ აიხსნება დიდ სცენაზედ ამოდენა საზოგადოების წინ გამოსვლით და ღელვით. კარგი იყო „აიდა“ ნერსესიანის ქალი, რომელსაც კარგი და მძლავრი ხმა აქვს. იგი დაბალ ფარდებში მოისუსტეს. მხოლოდ მასაც უსათუოდ მომავალი აქვს.

ოპერები მიდიოდა როიალის აკომპანიმენტით, რომელსაც ასრულებდა თავისუფალი ხელოვანი გოლდმანის ქალი, და პროფესორი ბარათაშვილი.

მოწაფეთა წარმოგენამ ნათლად დაამტკიცა ის დიდი შრომა და ენერგია, რომელსაც არა ზოგავენ მეორე კონსერვატორიის ხელმძღვანელნი საქმის კარგად დასაყენებლად. საზოგადოთ, მეორე კონსერვატორია დიდს იმედებს იძლევა თავისი მუშაობით.

საყურადღებოა აგრედვე ის სასიამოვნო მოვლენა, რომ ამ ბოლო დროს ჩვენ ვხედავთ ამდენს ქართველ ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ, რომელნიც ეწაფებიან მუსიკალურ სწავლა-განათლებას, სიმღერას. აღნიშნულ საღამოს ჩვენ ვნახეთ სცენაზედ 10 ქართველი მომღერი ქალ-ვაჟი, რომელთაგანაც მომავალში უსათუოდ გამოვლენ კარგი მომღერალნი. ამასთანავე 1-ლ კონსერვატორიაშიც სწავლობენ ქართველი მოწაფენი, ზოგიერთებმა სასახელოდ დასრულეს კიდეც 1-ლი კონსერვატორია, ეს მოვლენა იმედს გვაძლევს, იმის იმედს, რომ ახლო მომავალში ჩვენ მოვისმენთ ტფილისში ქართულს ოპერებს, რომელთა შემსრულებელნი და შემადგენლობა ქართველები იქნებიან.

სწორი საკითხი: Wis ist Mathematik möqlich? wie uf dio Naturvisenavft möqlich? მიუხედავად ათასგვარ შეცდომებისა და მიხვეულ-მოხვეულ გზებისა, კანტმა მაინც მართალი და ზე-იდეალისტური თეზა მონახა პარციალი იგივეობა, გონების პრიმატობიდან განთავისუფლებული, საკითხი სწყვეტს შემეცნების შესაძლებლობის საკითხს. დიდი წინასწარი მუშაობის შემდეგ კანტი მხოლოდ თავის „უმაღლეს ძირითად კანონებში“ სწყვეტს საკითხს (იხ. „Krit. des rein. Vern.“ გვ. 156 Peel.) ვერც წმიდა ფორმა, ვერც კატეგორია, ვერც საქმე ვერ სჭრის შემეცნების პრობლემას. შემეცნების ერთი ნაწილი ყოველთვის საგნის გარეშე რჩება „უმაღლეს ძირითად კანონებში“ კი აღწევს კანტი თავის მთავარ საკითხის, wie ist die Naturvssienzavf móqlich? გადაწყვეტას. აქ გონება იძულებულია ისე მოიქცეს, როგორც იქცევა, სხვა შესაძლებლობა არ არსებობს. შემეცნება იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ძირითადი პრინციპები ბუნების კანონებისა და კანონები გონების ფუნქციების დაგვარი არიან. დაგვარი დაგვარს, იგივე იგივეს იცნობს და შემეცნება შესაძლებელი ხდება. მიუხედავათ ყველა შეცდომებისა კანტი პრინციპიალურად მართლად სწყვეტს შემეცნების შესაძლებლობის საკითხს.

ჩვენი ავტორის იმმანენტურ ტერანსცეტენტიზმი ნაკლებ პასუხს იძლევა, ვიდრე კანტის ნაწილობრივი იგივეობის თეზა. მართალია, რომ იმმანენტური ტრანსცედეტიზმი მოცემული და განსაზღვრული შემეცნების ფენომენოლოგია, ე. ი. აღწერითი ახსნა არის, მაგრამ შემეცნების მთავარი საკითხი, შემეცნების პროგრესი, ამ ახსნის მიღმა რჩება. ჩვენი აზრით შემეცნების პროგრესის გასაგებათ, გარეშე დამოუკიდებელ საგნისა, შემეცნებისა, და საგნის შემეცნებაში არსებობისა, კიდევ სხვა რაიმეა საჭირო, რომელიც შემეცნების პროგრესს შესაძლებლად გახდიდეს. ამ მესამეს დავარქვათ დროებით საგნის მეორე ასპეკტი, ანუ შემეცნების მესამე სამყარო.

19. დებულება, რომ გნოსეოლოგიისათვის ონტოლოგიის გარეშე გზა არ არსებობს, სწორია, ისტორიულად შემუშავებული იდეალისტური თვალსაზრისით უკუ გდება საჭიროა, და ეს თეზა სწორედ აქ გამოსადეგია, მიუხედავად იმისა რომ ისიც მხოლოდ ნაწილობრივ ჭეშმარიტებას შეიცავს. ონტოლოგია ხშირად უაზროების და გაურკვევლობის მიზეზი ის კი არა asylum iqnorantia-ც კი ყოფილა თუ ონტოლოგიის ქვეშ ვიგულისხმებთ საგნის, როგორც არსის თეორიას, ესეც შემეცნების შესაძლებლობას თვით გნოსეოლოგიურ აქტამდინ ორი რამ ესაჭიროება: ერთი დამოუკიდებელი საგანი, როგორც არსი თავისთავად, მეორე კი ისევ საგანი, როგორც არსება, ანუ საგნის მეორე ასექტი, როგორც საგნის კანონთა სისტემის არსებობა.

აქ ჩვენ წერტილი დავსვათ და ავტორს უსურვოდ თავისი საპასუხისმგებლო შრომის დამთავრება. ეს დიდი განძი იქნება ეროვნული კულტურის სფეროში.

Dr **მოსე გოგიბერიძე.**

მაისი 1923. დედა ქალაქი.

ვუსურვებთ სრულს გამრჯვებას ბ-ნ გორგ კონსერვატორიის ხელმძღვანელობას, ყველა მოწაფეებსაც.

კარგად მღეროდა გუნდი.

ვ. ბ.

ქუთაისის სახელმწ. აკადემიური დასის სეზონი 1923—24 წ.

ქალები: 1. ელისაბედ ჩერქეზიშვილი, 2. თამარ აბაშიძე, 3. ნინო ნინონი, 4. მჭედლიშვილი—სიბილა, 5. ნუნუ მაჭავარიანი, 6. ყენია ნინო, 7. გოგოლაშვილი ელენე.

ვაჟები: 8. ვალ. გუნია, 9. ვიქ. გამყრელიძე, 10. იუზა ზარდალიშვილი, 11. ანდ. მურუსიძე, 12. შალ. ხონელი, 13. პავ. ფრანგიშვილი, 14. გიორგი თუთბერიძე, 15. მიხ. სარაული, 16. მიხ. ნემო, 17. ვ. ადამია, 18. გ. ბახტაძე-დევისონი, 19. სვანიძე, 20. რაზიკაშვილი.

რეჟისორები: 1. ვალერიან გუნია, 2. იუზა ზარდალიშვილი.

რეჟისორის თანაშემწე; 1. კუკური პატარიძე.

მოკარნახე: 1. კ. დოლონაძე.

პარიკმახერი: 1. ნიკიფორე.

მემანქანენი: 1. ს. ჭელიძე, 2. ო. დადიანი.

დასის ხელმძღვანელი

იუზა ზარდალიშვილი.

— სეზონი დაიწყება 15 სექტ. ალ. შანშიაშვილის პიესით „ბერდო-ზმანია“.

გაზ. „ტრიგუნის“ რედაქციას

თქვენს პატივცემულ გაზეთში (№ 500) დაბეჭდილია, რომ მთავრობამ ჩემს სტუდიას მისცა დახმარება 250 მილიონი მანეთი. უნდა იყოს: 250 ჩერვონეცი, რაიცა ა/კ. ბონებით (თუ ჩერვონეცის კურსს 14.000.000 მანეთი ვიანგარიშებთ) უდრის 3.500.000.000 მანეთს. ვსარგებლობ შემთხვევით—რათა გულწრფელი მადლობა ვუძღვნა სახალხო კომისართა საბჭოს დახმარებისთვის.

სტუდიის ხელმძღვანელი **აკაკი ფალავა.**

წერილი რედაქციის მიმართ

დღემდი არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არა ვმუშაობდი; თვალყურს ვადევნებდი პარტიათა პოლიტიკურ გეზს. დღეს სრული დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს სინამდვილეში საქ. მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მიერ აღებული პოლიტიკური გეზი სწორია, და სავსებით ვიზიარებ მას.

ა. ნასყიდაშვილი.

1923 წ. 21—VI.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

დაკარგე ა. წ. 8 ივნისს საფულე ათი მილიონი მანეთით (ა. კ. ბონებით) სხვა და სხვა ანგარიშები და საქ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირისაგან მოცემული კავშირის წევრობის სურათიანი მოწმობა № 1451 **ალექსანდრე ბახვას-ძე გაბელიას** სახელზე, რომელსაც ვაცხადებ გაუქმებულად. № 427 1—1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი
იწვევს სამალარიო ექსპედიციაში
„გამგე-ექიმ“ ა,
რომელიც უნდა იცნობდეს მალარიას ეპიდემიოლოგიურად და კლინიკურად. ექსპედიცია გაემგზავრება სამურძაყანოში (გალის რაიონში) და კახეთში (ალაზნის გალმა) გამგე-ექიმისათვის სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა.
მთხოვნელებმა უნდა მიმართონ წითელ ჯვარს curriculim vitae-ს წარდგენით (თაიროვის შესახვევი № 5) 10—2 საათამდე არა უგვიანეს 28 ივნისისა.
2—2

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიმოსვლის ნუსხა

ტფილისიდან გადის

მატ. № 1 სწრაფი მოსკოვში შაბათობით მატ. № 1 სწრაფი პეტროგრ. პარასკეობ. მატ. № 1 „ „ სამშაბათ.	1600
მატ. № 2 „ ბათუმში სამშაბათ.	16.40
მატ. № 3 როსტოვში ყოველდღე	23.35
მატ. № 3 კახეთში „	7.15
მატ. № 4 ბათუმში „	8.05
მატ. № 8 ბათუმში „	20.40
მატ. № 20 ბორჯომში „	15.20
მატ. № 21 ბაქოში „	11.25
მატ. № 22 ბათუმში „	0.20
მატ. № 3 ერევანში კენტი რიცხვში	18.00
მატ. № 35 კახეთში „ „	10.35
მატ. № 31 ჯულფაში წყილ რიცხვში	23.00

ტფილისში მოდის

მატ. № 1 ბათუმიდან შაბათობით მატ. № 2 მოსკოვიდან სამშაბათ.	14.40
მატ. № 2 პეტროგრადიდან ოთხშაბათ. მატ. № 2 პეტროგრადიდან პარასკეობ.	15.30
მატ. № 3 ბათუმიდან ყოველდღე	22.15
მატ. № 4 როსტოვიდან „	6.35
მატ. № 4 კახეთიდან „	21.50
მატ. № 7 ბათუმიდან „	8.50
მატ. № 19 ბორჯომიდან „	8.00
მატ. № 21 ბათუმიდან „	4.20
მატ. № 22 ბაქოდან „	14.50
მატ. № 4 ერევნიდან წყვილ რიცხვში	10.20
მატ. № 3 კახეთიდან „ „	18.45
მატ. № 34 ჯულფიდან კენტ რიცხვში	18.15

საგარაკო

მატ. № 18 ბორჯომში კვირაობით	7.10
მატ. № 16 ხაშურში შაბათობით და უქმის წინადღით	1.55
მატ. № 17 ბორჯომიდან კვირაობით	11.20
მატ. № 15 ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინადღით. . .	5.10

ტირაჟი 1900 ნიგა დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 386 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ № 4